

დემოკრატიის ინდექსი - საქართველო

მოსაზრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/72/10 09.06.2021)

ორგანიზაციამ „დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“ შეისწავლა საქართველოს პარლამენტის წევრების: დიმიტრი ხუნდაძის, ვლადიმერ კახაძის, ზაალ მიქელაძის, ანტონ ობოლაშვილის, ზაზა ლომინაძის, ირმა ზავრადაშვილისა და დავით სერგენკოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირებული ცვლილებების პროექტი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/72/10 09.06.2021).¹

კერძოდ, პარლამენტი გამარტივებული წესით განიხილავს ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მთავრობისთვის დელეგირებული, ადამიანის უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების ვადის 2022 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების საკითხს. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებზე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებზე.

საკითხის მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პარლამენტის ბიურომ უნდა გააუქმოს კანონპროექტის გამარტივებული წესით განხილვა, მიიღოს გადაწყვეტილება ზოგადი ან დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ და მხოლოდ კანონპროექტის არსებითი გადამუშავების შემდგომ შეიტანოს საკითხი პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

რეკომენდაცია:

„დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“ მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს მთავრობისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების ვადების გაზრდის პარალელურად გაითვალისწინოს საუკეთესო უცხოური გამოცდილება და კანონპროექტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- პარლამენტმა კანონით დეტალურად განსაზღვროს ყველა ის რეგულაცია, რომლის შემოღებაც შესაძლოა მთავრობას დასჭირდეს ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის;
- მთავრობის მიერ შემოღებული რეგულაციები უნდა იყოს შეზღუდული კონკრეტული ვადით, არა უმეტეს 4 კვირისა;
- რეგულაციების შემოღება უნდა ეფუძნებოდეს ვირუსის გავრცელების დინამიკას, მათ შორის, დადებითობის მაჩვენებელსა და ზრდის ან კლების ტენდენციას;

¹ ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/22224>

- მთავრობის წევრები, განსაკუთრებით, პრემიერ-მინისტრი და ჯანდაცვის მინისტრი ვალდებული უნდა იყვნენ გარკვეული პერიოდულობით, არა ნაკლებ 2 თვეში ერთხელ, წარსდგნენ პარლამენტის წინაშე ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და შემოღებული რეგულაციების შესახებ ანგარიშით.

ცვლილების არსი: კანონპროექტით „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ კანონში შედის ცვლილება და ხანგრძლივდება 45³ მუხლის მოქმედების ვადა 2022 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული ნორმით, მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით იზოლაციისა და კარანტინის წესები. მთავრობას შეუძლია შეცვალოს პარლამენტის მიერ დადგენილი ყველა საკანონმდებლო რეგულაცია.²

დასახელებული რეგულაციები, მათ შორის, მოიცავს შესაბამისი შეზღუდვების დროებით დაწესებას, საჯარო დაწესებულებების, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სხვა დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სხვა იურიდიული პირების საქმიანობასთან/ადმინისტრირებასთან, საჯარო სერვისების მიწოდებასთან, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან, უკანონო მიგრაციასთან/საერთაშორისო დაცვასთან ან/და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით პირთა თავშეყრასთან დაკავშირებით.³

დასაბუთება:

ახალი კორონავირუსის გავრცელების პარალელურად მსოფლიოს მასშტაბით არა ერთ ქვეყანას მოუწია გარკვეული ზომების მიღება. მათ შორის, საქართველოს მთავრობა აქტიურად იყენებს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის საფუძველზე ე.წ. კოვიდრეგულაციების შემოღების უფლებამოსილებას. როგორც წესი, მსგავსი შეზღუდვების დაწესება პარლამენტის პრეროგატივაა. მთავრობა კი ამას დროებით, დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის კრიტერიუმების განსაზღვრა აუცილებელია, რათა აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელმა ორგანოებმა, იქნება ეს სასამართლო თუ პარლამენტი, შეაფასონ რამდენად კანონის ფარგლებში მოქმედებს მთავრობა და ხომ არ აცდა პარლამენტის მიერ მინიჭებულ მანდატს.⁴ შესაბამისად, რაც მეტად მკაფიოდ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების გამოყენების კრიტერიუმები, საპარლამენტო კონტროლის ბერკეტები ინტეგრირებული, მით უფრო მოხდება ძალაუფლების თვითნებური გამოყენების პრევენცია.

ვენეციის კომისია სასამართლის უზენაესობის “checklist”-ში აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირებისას პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს საპარლამენტო და

² „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის 45³ მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

³ იქვე.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე "პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტბიძე, ედუარდ მარკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-51.

სასამართლო კონტროლისთვის სათანადო ეფექტიანი ღონისძიებების გათვალისწინება.⁵ შეუძლებელია სრულყოფილი სასამართლო და საპარლამენტო კონტროლი თუ მოსამართლეებს ან პარლამენტის წევრებს არ აქვთ შემოღებული რეგულაციების მკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე შეფასების შესაძლებლობა.

არსებული სახით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონი ფართო დისკრეციას ანიჭებს მთავრობას თუ როდის და რომელი რეგულაცია უნდა შემოიღოს ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით. აღნიშნული ართულებს ეფექტურ საპარლამენტო და სასამართლო კონტროლს.

„დემოკრატიის ინდექსი - საქართველომ“ შეისწავლა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, გაერთიანებულ სამეფოში და საფრანგეთში პარლამენტთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, რომლითაც უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანოებმა კოვიდრეგულაციების შემოღების უფლებამოსილების დელეგირება მოახდინეს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. უცხოური გამოცდილების ქართული პერსპექტივიდან ანალიზის შესაბამისად, წარმოგიდგინთ რეკომენდაციებს:

- კოვიდრეგულაციების ამომწურავად განსაზღვრა.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³ მუხლი შაბლონურად უთითებს ადამიანის უფლებათა მზღლუდავი ღონისძიებების შემოღების შესახებ. არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი ღონისძიება მოიაზრება ამ უფლებებთან მიმართებით. მეტიც, ნორმა არ არის ამომწურავი და დამატებით კანონით გაუთვალისწინებელ უფლებათა შეზღუდვასაც ითვალისწინებს.

გერმანიის ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონი⁶ ამომწურავად ჩამოთვლის ყველა იმ ღონისძიებას, რომლის შემოღების უფლებამოსილებაც აქვს ფედერალურ მთავრობას.⁷ აღნიშნული სტანდარტის გაზიარებით, პარლამენტი დააზღვევს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ძალაუფლების თვითნებური გამოყენების და გაუმართლებელი შეზღუდვების შემოღების რისკებს.

სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი საფუძველი, რომელიც საქართველოში განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-4 მუხლით, არის კანონიერების პრინციპი. კანონიერების პრინციპის თანახმად, კანონმდებელმა არ უნდა დაუშვას საკანონმდებლო აქტებში დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ ზოგადი ჩანაწერების არსებობა და იგი მხოლოდ კონკრეტული განსაზღვრული უფლებამოსილებებით უნდა შემოფარგლოს.

⁵ European commission for democracy through law, The Rule of Law CheckList, CDL-AD(2016)007rev, 2016, გვ. 12. <https://bit.ly/3xmOItY> [17:53 14.06.2021]

⁶ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონი „ადამიანის ინფექციური დაავადებების პრევენციისა და კონტროლის შესახებ“. <https://www.gesetze-im-internet.de/ifsg/> [18:19 14.06.2021]

⁷ იქვე, მუხლი 28a.

ადამიანის უფლებებში ჩარევის ფარგლების დადგენა ადმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის და სამართლებრივი სტაბილურობის აუცილებელი კომპონენტია.⁸

მაგალითად, საქართველოს მთავრობა აქტიურად იყენებს საერთაშორისო მიმოსვლის, როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის შეჩერებას. აღნიშნული საერთოდ არ არის ექსპლიციტიურად გათვალისწინებული „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში, რაც წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ განხილულ კანონიერების პრინციპთან.

- რეგულაციების შემოფარგლა კონკრეტული ვადით, არა უმეტეს 4 კვირისა.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი მთავრობას დროებით აღჭურავს საკარანტინო ღონისძიებების შემოღების უფლებამოსილებებით. საკანონმდებლო აქტი არ აკონკრეტებს თუ რა ვადა შეიძლება ჩაითვალოს გონივრულ ვადად ცალკეული ღონისძიების გამოყენებისთვის. კანონის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს დაკავშირებული ღონისძიებებთან, იმ ფონზე, როდესაც კანონი უკვე 1 წელია მოქმედებს და მისი გახანგრძლივება კვლავ 6 თვით იგეგმება. ევროპული გამოცდილება გვკარნახობს, რომ საკანონმდებლო ორგანოებმა მიაჩქეს მთავრობებს კოვიდრეგულაციების შემოღების უფლებამოსილება, აგრეთვე, შეზღუდეს ისინი კოვიდრეგულაციების არსებობის ვადებით. გერმანიაში ეს 4 კვირამდე განისაზღვრა,⁹ ხოლო საფრანგეთში თუ მთავრობას 1 თვეზე მეტი ხნით სურს რეგულაციების შემოღება, მას აუცილებლად ესაჭიროება საკანონმდებლო თანხმობა.¹⁰

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, აუცილებელია საგანგებო ღონისძიებების კონკრეტული დროით შემოფარგვლა. ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ საგანგებო ღონისძიებები უნდა იყოს შეზღუდული და დროებითი. მათ შორის, კომისიამ კომენდანტის საათის მოქმედების დროში შეუზღუდაობა შეაფასა, როგორც კანონში უფლებათა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობად.¹¹

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონის“ საფუძველზე 9 ნოემბრიდან დრემდე გამოაცხადა ე.წ. კომენდანტის საათი და დღემდე 7 თვეზე მეტი ვადით, უწყვეტად მოქმედებს.¹² მთავრობის ეს გადაწყვეტილება არ არის შეზღუდული ვადით. მთავრობისთვის მსგავსი შეზღუდვის დაწესების პირობებში

⁸ ქეთევან ცხადაძე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის, ადმინისტრაციული სამართალი, მათა კოპალეიშვილის რედაქტორობით, 2016, გვ 8-9.

⁹ Supra 7.

¹⁰ „Covid-19 ეპიდემიის გამკლავების შესახებ“ საფრანგეთის რესპუბლიკის 2020 წლის 23 მარტის n ° 2020-290 კანონი. <https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT000041746313> [15.06.2021 11:53]

¹¹ იხ. European commission for democracy through law, "ON STATES OF EMERGENCY", CDL-PI(2020)003, 2020, 22, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDLPI\(2020\)003-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDLPI(2020)003-e) ; ON THE LEGAL FRAMEWORK GOVERNING CURFEWS, CDL-AD(2016)010, გვ.17 [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2016\)010](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2016)010) [12:08 15.06.2021]

¹² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №670 „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწევდა ყოველი 4 კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ რეგულაციის საჭიროების დასაბუთება, რომელიც შემდგომ ნაწილში არის განხილული.

- რეგულაციები უნდა ეფუძნებოდეს ვირუსის გავრცელების დინამიკას.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი არაფერს ამბობს საკითხზე, თუ როგორ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში აქვს მთავრობას უფლებამოსილება შემოიღოს კოვიდრეგულაციები.

გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფო მდივანს რეგულაციების შემოღება შეუძლია, როდესაც კორონავირუსის გადაცემა იწვევს სერიოზულ და იმანენტურ საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართ. ეს უნდა იყოს დამოკიდებული ინციდენტების შემთხვევაზე ან ვირუსის ტრანსმისიაზე.¹³ საფრანგეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით მთავრობა ვალდებულია მხოლოდ სამეცნიერო გათვლების საფუძველზე მიიღოს აღნიშნული გადაწყვეტილება.¹⁴ ხოლო გერმანიის კანონმდებლობა პირდაპირ ავალდებულებს მთავრობას ბოლო 7 დღის განმავლობაში დაავადების ყოველ 100 000 მოსახლეზე გავრცელების დინამიკის შესაბამისად შემოიღოს რეგულაციები. აგრეთვე, ვალდებულია გაითვალისწინოს დაავადების გავრცელების ზრდის ან კლების დინამიკა.¹⁵

საქართველოს კანონმდებლობა მსგავს სავალდებულო კრიტერიუმს არ ითვალისწინებს. კრიტიკულად აუცილებელია ვირუსის გავრცელების დადებითობის მაჩვენებლისა და ზრდის ტენდენციის საკანონმდებლო დონეზე გაწერა, რათა არ მოხდეს ძალაუფლების თვითნებური გამოყენება. მთავრობის კონტროლის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში.

- საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება.

მთავრობისთვის უფლებამოსილების გაზრდის პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ეფექტიანი კონტროლის შენარჩუნებაა. მსგავსი რეგულაციების შემოღება მოითხოვს საპარლამენტო დებატებს და ეკონომიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ შედეგებზე მსჯელობას იმდენად, რამდენადაც საქმე ინდივიდუალურ თავისუფლებათა შეზღუდვას შეეხება.¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტი არის ის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც საკითხს წყვეტს გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესის საფუძველზე, პოლიტიკური დებატების შედეგად, რაც საფუძველშივე ქმნის დამატებით ფილტრს უფლებაში გაუმართლებლად ჩარევის რისკების შესამცირებლად. დემოკრატიული ლეგიტიმაცია მიიღწევა სწორედ კომპლექსური საპარლამენტო პროცედურებით, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების გზით, ინტერესთა დაბალანსების,

¹³ გაერთიანებული სამეფოს “The Health Protection (Coronavirus) Regulations 2020”, მუხლი 3. <https://www.legislation.gov.uk/uksi/2020/129/contents/made> [15:55 15.06.2021]

¹⁴ Supra 10.

¹⁵ Supra 7.

¹⁶ Alexis Fourmont, Basile Ridard, Parliamentary oversight in the health crisis, 2020, 7. <https://www.robert-schuman.eu/en/doc/questions-d-europe/qe-558-en.pdf> [13:56 15.06.2021]

პოლიტიკური უმრავლესობისა და უმცირესობების თანამონაწილეობის საფუძველზე. მსგავსი წესით აქტის მიღება შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური ნების ფორმირებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული უმრავლესობის თვითნებური ქმედება. ცხადია, ამგვარი პროცედურა არ უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის სრულფასოვან პრევენციას, თუმცა, უდავოდ, მნიშვნელოვნად ამცირებს ძალაუფლების თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს მიღებული აქტის მიმართ მეტ ლეგიტიმაციას და სანდოობას^{.17}

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს სპეციალური საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს კორონავირუსის გავრცელების ან სხვა საფუძველით ეპიდემიური ან პანდემიური მდგომარეობის დროს. რაც შეეხება უკვე არსებულ კონტროლის ზეგად მექანიზმებს, პარლამენტი მათ არ იყენებს. არ შექმნილა სპეციალური დროებითი კომისია, არ ჩატარებულა ინტერპელაცია, კანონის აღსრულების კონტროლის პროცედურა ან სხვა.

გერმანიაში ბუნდესტაგმა მთავრობას კანონით დაავალდებულა ვირუსის გავრცელების განმავლობაში რეგულარულად მოახსენოს საკანონმდებლო ორგანოს ეპიდსიტუაციის შესახებ ზეპირი ანგარიში.¹⁸ საფრანგეთში კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ განხორციელებული ზომების ეროვნული ასამბლეისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მონიტორინგისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით შეიქმნა კომიტეტი, რომელიც შედგებოდა არა ნაკლებ 4 პარლამენტის წევრისაგან. აღნიშნული კომიტეტი პერიოდულად აფასებდა მიმდინარე პროცესებს და აძლევდა მთავრობას რეკომენდაციებს. თავის მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებული იყო 3 თვის პერიოდულობით პარლამენტისთვის საჯაროდ წარედგინა ინფორმაცია ქვეყანაში შემოდებული ზომების იმპლემენტაციის შესახებ.¹⁹ დიდი ბრიტანეთის მთავრობა ყოველ ორ თვეში წარადგენს პარლამენტის წინაშე კორონავირუსის აქტიდან გამომდინარე ანგარიშს.²⁰ მსგავს მოწესრიგებას ითვალისწინებს შოტლანდიის აქტიც.²¹

პარლამენტის როლი მთავრობის მიერ განსაკუთრებული უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ზედამხედველობის მიმართულებით უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამიტომ, საქართველოს პარლამენტმა აუცილებლად უნდა გაიზიაროს საუკეთესო უცხოური გამოცდილება და დაამკვიდროს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-28

¹⁸ Supra 7, მუხლი 5.

¹⁹ Anne-Marie Duguet, Emmanuelle Rial-Sebbag, THE FIGHT AGAINST THE COVID 19 EPIDEMIC IN FRANCE: HEALTH ORGANISATION AND LEGISLATIVE ADAPTATION, Medicine and Law World Association for Medical Law, 2020, 181. <https://bit.ly/3u7kady> [13:41 15.06.2021]

²⁰ გაერთიანებული სამეფოს Coronavirus Act 2020, მუხლი 97, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2020/7/contents/enacted> [13:50 15.06.2021]

²¹ გაერთიანებული სამეფოს Coronavirus (Scotland) Act 2020, მუხლი 15, <https://www.legislation.gov.uk/asp/2020/7/section/15> [13:50 15.06.2021]

მათი შედეგების შესახებ ანგარიშების რეგულარული ღონისძიებები კანონის მოქმედების ვადით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დღეს პარლამენტში წარმოდგენილია თითქმის ყველა ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც მოიპოვა მანდატი 2020 წლის პარლამენტის არჩევნებში. შესაბამისად, ზღვარი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ბევრად მკაფიოა, ვიდრე ეს მანამდე იყო. ამდენად, მნიშვნელოვანია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანამდე პარლამენტმა ერთი მხრივ, მოისმინოს მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში და აღნიშნულზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება, ხოლო მეორე მხრივ დამკვიდრდეს რეგულარული ანგარიშების პრაქტიკა მანამ, სანამ მთავრობა განსაკუთრებული უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი.